| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდევლის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

წელიწადი II. წელიწადი II.

სამეურნეო გაზეთი

## „მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ

გაზეთი „მეურნე“ მომავალ 1889 წ. გამოიცემა იმავე პროგრამით და სივრცით, როგორც ამ 1888 წ.

გაზეთის ფასი

| თბილისში | | თბილისს გარეშე | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა — — | 4 მან. | 1 წლისა — — | 5 მან. |
| ½ — — — | 2 მან. 50 კ. | ½ — — — | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ, და 20 კაპ. პირველ გვერდზედ. გაზეთის დაკვეთა შეიძლება: კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში, ჩარკვიანის მაღაზიაში და თვით რედაქციაში: რეუტის ქუჩა, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიმართონ თვით რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію **„Мэурнэ“**.


ტფილისი, 2 დეკემბერი

ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედების ანგერიშის გადასინჯვამ მოგვცა საბუთი ხელახლად ჩამოვაგდოთ საუბარი სკოლაზე. ამ შემთხვევაში ჩვენი სავალალო საგანი იქნება ამ საზოგადოების სკოლების საქმე, ამათი აწმყო და მერმისი. საზოგადოდ სკოლა და კერძოდ ჩვენი სკოლები ყოველ განათლებულ და გონიერ ქართველისათვის უნდა იყოს უმთავრესი საზრუნველი საგანი. ეს სკოლები უნდა იყოს ქვა-კუთხედი ჩვენის მერმისისა. ვიმეორებთ, ეს სკოლებია ის საძირკველი, რომელზედაც მღვდელმა თუ ერმა, თავადმა თუ გლეხმა, უნდა აღმართოს მკვიდრი შენობა, სახლ-ოჯახობა, რომელმაც სიმკვიდრით უნდა გადააჭარბოს ჩვენ ძველთა ნაშთების სიმაგრეს. ანგარიშის გადასინჯვიდგან სჩანს, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობაში რამდენიმე სასოფლო და რამდენიმე საქალაქო სკოლაა. საქმე მარტო რიცხვში ხომ არ არის. საქმე ისაა, თუ როგორ მიმდინარეობს ამ სკოლების საქმე, რა ნაყოფი მოაქვს და ან რა ნაყოფს უნდა მოველოდეთ მომავალში? აი საჭირო საკითხავი, რომელიც საბუთიანად უნდა გამოვიძიოთ და გამოვიკვლიოთ. იმავე ანგარიშიდგან სჩანს, რომ ზოგი სასოფლო სკოლა, სადაც ნორჩი ვაჟები და ქალები სწავლობენ, რიგიან გზაზედ არის დაყენებული და თანდათან წინ-წინ მიდის, თუმცა-კი სასურველია მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლებში აღემატებოდეს იმას, რაც ანგარიშშია აღნიშნული.

ქალაქის სკოლათა შორის რიგიან გზას დასდგომია და წარმატებაშიც შესულა ბათუმის სკოლა, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად ნივთიერის უსახსრობისა გამო კინაღამ სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს. მაგრამ მასწავლებლის მხნეობამ, ენერგიამ და ცდამ, თვით „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამჭრიახობამ ეს უბედურება ააცდინა სკოლას, იმ სკოლას, რომელიც მომავალში, უეჭველია, დიდ სიკეთეს გვიქადის.

მაგრამ უმთავრესი საგანი ჩვენის საუბარისა „სათავად - აზნაურო“ სკოლების ყოფა-მდგომარეობაა. სამწუხაროდ ჩვენდა, ხელად არ მოგვეპოვება ვრცელი და უტყუარი ანგარიში ამ სკოლების აწმყო და წარსულის თავ-გარდასავალისა. მიუხედავად ამისა ზემოხსენებულ ანგარიშიდგანვე გვეძლევა მცირეოდენი ცნობანი ქუთაისის „სათავად-აზნაურო“ სკოლის მდგომარეობისა ამ სააკადემიო წლის დამლევამდე. ეს ცნობანი გვაძლევენ საკმაო საბუთს წარმოვსთქვათ ჩვენი აზრი ამ სკოლების შესახებ. არ იფიქროთ-კი, რომ ეს ცნობანი სანუგეშო იყოს, პირ-იქით ყოველ დარბაისელ ქართველთათვის თავზარ-დამცემია. საქმე ის არის, რომ სკოლა თავის დანიშნულებას ასცდენია, თავის პირდაპირ საგნისათვის თვალი და გონება მოუშორებია.—როგორ? რა ნაირად? საიდგან სჩანს ეს? განცვიფრებით მკითხავთ. აი რას ვკითხულობთ ანგარიშის წიგნში: „წელს პროგიმნაზიულ კლასების სრული სწავლა შეუსრულებია 11 ყმაწვილს; ამათგან მაისშივე მისულან სახელმწიფო გიმნაზიაში შესასვლელ ეგზამენის დასაჭერად ექვსი. რუსულის ენის ეგზამენი ამ ექვსში ვერც ერთს ვერ დაუჭერია და ზოგნიკი სხვა უმთავრესს საგნებშიაც მოუმზადებელნი აღმოჩენილან. კანიკულების შემდეგ, აგვისტოში, მხოლოდ ორს დაუჭერია ეგზამენი და შესულან: ერთი პროგიმნაზიის მეოთხე კლასში და ერთიც სასულიერო სასწავლებელში, ესეც მეოთხე კლასშივე“. უპირველესად აქ ადამიანს აკვირვებს სიმცირე მოსწავლეთა რიცხვისა მეოთხე პროგიმნაზიულ კლასში, რომელშიაც 11 მოსწავლეა. ნუ თუ 20 და 25 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს მხოლოდ იმისთვის, რომ წლის ბოლოს პროგიმნაზიული კურსი დაასრულოს მხოლოდ 11-მა ახალგაზდა ქართველმა? ისიც იმ დროს, როდესაც ნივთიერი შეძლება თავად-აზნაურობისა უკიდურეს მდგომარეობაშია. მაგრამ ეგ კიდევ არაფერი! ამით არ შემოისაზღვრება ჩვენი საკითხავი. კეთილ საქმისათვის მეტი ხარჯი ანგარიშში არ უნდა ჩაითვალოს. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. დასანანებელი და გულ-საწვავი აქ მამულის შვილისათვის მხოლოდ ის არის, რომ მოსწავლენი, როგორც რიგია, ვერ მომზადებულან და გიმნაზიაში ერთის მეტი ვერ შესულა. ერთის სიტყვით, სწავლა-განათლების წარმატება ამ სკოლაში შეფერხებულა. სრულიად დაქვეითებული სკოლაც-კი ყოველ წლივ 5—10 მოსწავლეს ამზადებს გიმნაზიისთვის. როგორც სჩანს სასულიერო სასწავლებლების ანგარიშიდგან და, რამდენადაც გვაგონდება, 1883—1886 წლის განმავლობაში ამ სასწავლებლებიდგან სხვა-და-სხვა საერო სასწავლებლებში გაუჭირვებლად დაიჭირეს ეგზამენი და შევიდნენ: სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლიდგან 15 მოსწავლე, ქუთაისის სასწავლებლიდგან—10 და ტფილისის სასწავლებლიდგან—6.

უნდა გამოვიძიოთ თავი და თავი მიზეზი ამ სამწუხარო ამბებისა, ესე იგი, იმისა, რომ სათავად-აზნაურო პროგიმნაზიულ კლასებში ვერ მომზადებულან ქართველი ყმაწვილე-

# ფელეტონი

## სამეცნიერო ამბები

**წვრილმანი ამბებიც საყურადღებოა.—ასაფეთქებელი წამლები.—გამბედაობის მსხვერპლი.—მეორე მაგალითი.—რაშია გამოსაყენებელი ასაფეთქებელი წამლები?—ბისმარკი და პითაგორი.—უცნაური ზარბაზანი.—უსისხლო ომი.—მაშინ ომი რაღა საჭიროა!—რას გვპირდება ედისონი?—ჰაერის ტარება ჯიბით.—უსაგნო ოცნებად არ ჩამამართვათ!—ეს ხომ ნამდვილია!**

სულ „მაღლა ფარდებში“ ფრინვა ხომ არ შეიძლება! მარიხსა და კაშკაშა ვარსკვლავებზე ლაპარაკი სასიამოვნოა,—ვინ ამბობს,—მაგრამ ცხოვრების წვრილმანიც ყურადღების ღირსია! რასაკვირველია, ჩვენ ამით უარს-კი არ ვყოფთ, რომ ხმა აღარ ამოვიღოთ იმ საოცარ და საუცხოვო ქვეყანაზე, სადაც ბრწყინვალე მზე მეფობს და უთვალავნი ცის მნათობნი მუხლს იდრეკენ მის წინაშე,—პირ-იქით, ეხლავე სიტყვას გაძლევთ, რომ კიდევ დავუბრუნდებით და, ვგონებ, არა ერთხელა, ამ ნათელით მოსილს ქვეყანას, და ბევრს საკვირველ ამბებსაც გიამბობთ.

დღეს-კი ნება მომეცით, წვრილმანი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები შეგატყობინოთ მეცნიერებიდამ,—ეს ამბებიც საყურადღებოა და საგულისხმიერო.

***

აი ქიმია,—რა საქმეებს არ ჩადის ეს ნაწილი მეცნიერებისა! გეხსომებათ, რა ამბავი ასტეხა იმ ასაფეთქებელმა წამლებმა, რომელიც სულ ამ ცოტას ხანში მოიგონეს და მოამზადეს ქიმიკოსებმა. ეს წამლები გამოუცდიათ, და, როგორც გაზეთები გვარწმუნებენ, ისეთი საშინელი ძალა გამოუჩენია, რომ გესმის და არა გჯერა. საკმაოა, მაგალითად, აფეთქონ სულ რამდენიმე მისხალი ამ საშინელის ნივთიერებისაო—ასე გვარწმუნებენ,—რომ მთელი მთა ჰაერში ასწიონ და მტვრად აქციონო?

მაშ იქნება, მარტო ოცნების ნაყოფი და არაკი არ იყოს, რასაც მოგვითხრობენ ძველი ბერძენები, რომ, როდესაც ზღვათა ღმერთი პოსეიდონი დაჰკრავდა წყალს თავის სამ კაციან ყავარჯენს, მიწა ინძრეოდა და ზღვა ღელავდაო?! მაშ იქნება სხვა რაიმე აზრი და საფუძველი ჰქონდეს იმ ამბავსაც, როდესაც გვეუბნებიან, მაგალითად, რომ ყარამანი დაჰკივლებდა და თავის ხმით მთებსა სძრავდაო!!.. და რა არის აქ საკვირველი! განა ყველაფერი ისევე ძველი არ არის ამ ქვეყანაზე, როგორც თვით ჩვენი დედამიწაა ძველი?

არავინ დამწამოს ცილი, რომ ამას მე დარწმუნებით ვამბობდე—არა ისე, ფიქრად მომივიდა თავში, და თუ ეს ფიქრი ზოგს არ მოეწონება, ნურას უკაცრავად. ბოლოშს ვიხდი და გაწყვეტილს სიტყვას ვუბრუნდები.

თოფის წამალს რომ თავი დავანებოთ, სხვა ასაფეთქებელი წამლები დიდის ხნის ამბავი არ არის მეცნიერებაში, და საქმეში გამოყენება ხომ მხოლოდ ამ ბოლოს დროს დაიწყეს. ამის მიზეზი ის არის, რომ ამათი ხმარება ძნელი და საშიში იყო. პირველად ერთმა ნორვეგიელმა გაჰბედა ქარხნის გამართვა ასაფეთქებელ წამლის, დინამიტის, მოსამზადებლად. მაგრამ ძალიან ძვირად დაუჯდა ასეთი გამბედაობა: პირველ ცდაზედვე, ქარხანაში მომზადებულმა დინამიტმა იფეთქა და, როგორც მთელი უზარმაზარი შენობა, ისე ყველა მუშები ჰაერში ასწია და მტვრად აქცია.

საქმე იმაშია, რომ დინამიტს, თუ სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებას, ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა: ხან სულ მცირედი რამ მიზეზი, მაგალითად, ოდნავი მოძრაობა ჰაერისა კმარა, რომ წამალმა იფეთქოს და დიდი უბედურება მოახდინოს. თვით ქიმიკოსებს, რომელთაც ხელიც იციან ამ გვარ საქმეებისა და ფრთხილადაც იქცევიან, არა ერთხელ გამოუცდიათ თავიანთ თავზე ამათი საშინელი მოქმედება. მაგალითს მოგიყვანთ.

ერთი ქიმიკოსი რისთვისაც სცდიდა დინამიტს თავისს სამუშაო ოთახში და უეცრად აუფეთქდა. როდესაც საშინელს ხმაურობაზე ხალხი მისცვივდა, ასეთი საზარელი სურათი დაჰხვდათ: რამდენიმე მკვდარი კაცი, საშინლად დასახიჩრებული და ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილი; ოთახშივე ეგდო თვით ქიმიკოსიც თავ-მოგლეჯილი, ხოლო თავი-კი ეზოში იპოვეს კარგა მოშორებით,—თურმე ნუ იტყვით აფეთქებულს დინამიტს საბრალოსათვის თავი მოეგლიჯა, ფანჯარა გაემტვრია და გარეთ გადაეგდო.

და რაღა შორს წავიდეთ, აი ავიღოთ თუ გინდ ის ასაფეთქებელი ნივთიერება, მელინიტი, რომელიც, სულ ერთი წელიწადია, რაც მოიგონეს. როგორც მოგეხსენებათ მელინიტი საფრანგეთში მოამზადეს პირველად და პირველადვე ადამიანის საქლეტად სცადეს. ცდამ საუცხოვოდ ჩაიარა. დიდძალი სამხედრო ხალხი შეიკრიბა ამ გამოცდაზე, გატენეს ზარბაზანი მელინიტით, დაადეს ანთებული პატრუქი, იფეთქა წამალმა, ზარბაზანმა დაიგრიალა და... და შენს მტერს, რაც ამბავი მოხდა: აქ დამსწრეთ სწორედ ისეთი საქმე დაემართათ, რო-

ბი გიმნაზიაში და სხვა საერო სასწავლებლებში შესასვლელად.

უღრელიძე

## ახალი ამბავი

*** როგორც გვითხრეს, ქალაქის გამგეობა ძალიან ჩაუფიქრებია იმ გარემოებას, რომ სასწვრის შემოსავალი თანდათან კლებულობს. მიზეზი კლებისა უმთავრესად ის არის, რომ კერძო ვაჭრებს პირველისა და მეორე გილდიისას უფლება აქვთ საკუთარი სასწორი იქონიონ დიდრონ საქონლისა და სიმძიმის ასაწონად. მართალია, ეს მიზეზი წინედაც თავის ზედმოქმედებას აჭდევდა ქალაქის კასასა, მაგრამ, შემდეგ ახალის ბაჟის დაწესებისა, უფრო ძრიელ იჩენს თავის უნარს. საქმე ის არის, რომ როდესაც ურმებსა და ტომრებზე არ იყო არავითარი ბაჟი, მაშინ ფქვილეულობასა და პურეულობას ეზიდებოდნენ პირდაპირ მეიდნებზე და საქალაქო სასწორს არ გასცდებოდა მათი აწონვა. დღეს-კი ბაჟის შემოღებამ საკმაოდ გააფრთხო ურმები მეიდნებიდამ ურემი ეხლა რჩეობს ცალკე კაცების ეზოსა და ქარვასლებში ჩამოხდომას. ამ ადგილებში გამართეს ვაჭრებმა თავიანთი ალებ-მიცემობა და მართალია, იმავ ფასად უწონავენ საქონელს, როგორც ქალაქის სასწვრებზე, მაგრამ სამაგიეროდ ბაჟს აღარ იხდიან მეურმეები.

გარდა ამისა, გინდ მეიდანშიაც შემოიტანონ ურემი, აქაც არიან ალაფები, რომელთაც თავიანთი სასწორები აქვთ და წონის ფასს არ გაილებენ. უფრო ხშირად იმისთანა კაცებს აქვსთ საკუთარი სასწორი, რომელთაც არც პირველისა და არც მეორე გილდიის მოწმობა არა აქვთ, მაგრამ სხვის სახელობაზე ჰმართავენ სასწორს. მეორე გილდიის ვაჭარს უფლება აქვს ქალაქში გინდა ხუთ ადგილას გაალოს სავაჭრო. უმეტესად თითონ არ აღებენ დუქანსა, ხოლო სხვებს უთმობენ თავიანთ უფლებას ან ნაცნობობით, ან კიდევ ფულზე მორიგებით.

დღეს საქმე ისეა, რომ თუ ქალაქის კასას ემატება რამ ახალის ბაჟით, სანაცვლოდ აკლდება სასწვრის შემოსავალიდამ. ვნახოთ, რა ღონეს იღონებს გამგეობა, რომ ამ გარემოებას თავი დააღწიოს.

*** ამ დღეებში რკინის გზის მატარებლით მოდიოდნენ განჯიდგან ერთი ყმაწვილი რუსი და ერთიც ახალგაზდა ქალი ებრაელი. ესენი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ვაჟი სთხოვდა ქალს, ბათუმში ნუ მიდიხარო, მაგრამ ქალმა ეს ვედრება არ ისმინა. მოთმინებიდგან გამოსულმა ყმაწვილმა ამოიღო რევოლვერი და შიგ გულში დააბჯინა ქალს; ქალმა ხელი აუკრა და ყვირილი მორთო; ვაგონში მსხდომნი მივარდნენ ახალგაზდა კაცს, რომელიც მთავრობამ უკვე შეიპყრო.

*** სოფ. ქედა (ქვედა აჭარა): მკითხველებს ეხსომებათ, რომ აჭარის წყლის პოსტის ახლო გაცარცვეს ბათუმის მცხოვრებნი ბბ. კოხი, ბენლისი და მათთან ერთად სხვანი. მთავრობამ მაშინვე განსაკუთრებული ყურადღება ათხოვა ამ საქმეს და მეორე დღესვე შეკრიბა აჭარის წყლის პოსტზე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი და თვითეულად უჩვენა ესენი გაცარცულებს: გაცარცულებმა ხუთს კაცს დაადეს ხელი. ეს უკანასკნელნი, რაღა ბევრი ვილაპარაკოთ, იმ წამსვე გაგზავნეს საპყრობილეში. ამას გარდა ამ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს დაადვეს რვა ასი მანეთი გადასახადი გაცარცულთა ზარალის ასადგენად. ერთის სიტყვით, ამისთანა სასტიკი ღონე ჯერ არასოდეს არ უხმარია ჩვენში ადმინისტრაციას. ბ-მა „უჩასტკის“ უფროსმა შარვაშიძემ ბეჯითად მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და აღმოაჩინა, რომ მცარცველები იყვნენ არა ის ხუთი კაცი, რომლებიც კოხისა და სხვების ჩვენებით შეიპყრეს, არამედ სხვანიო.

ბ-ნმა შარვაშიძემ ოთხი ავაზაკი შეიპყრო და ზოგი დაკარგული ნივთი აღმოაჩინა. წინედ დატუსაღებულნი-კი განთავისუფლეს.

*** ბარის ოსეთიდგან გვწერენ: სხვა-და-სხვა გადამდები სენი, მაგალითად, ყვავილი, ყელჭირვება, წითელა, ყივანახველა და სხვა ავადმყოფობა რიგ-რიგად უვლის ჩვენს სოფლებს. სენი ერთის სოფლიდგან მეორეში გადადის, ამ სენს მეორე მოჰყვება და მეორეს მესამე, წარსულს წლებში სოფ. არლონში ყმაწვილებს მუსრი გაავლო ყელჭირვებამ და სოფ. ხუმელაგაში—ყვავილმა, მაგრამ მშველელი ვინ იყო. ამ ჟამად სოფ. ხუმელაკაში ყვავილი ისევ გაჩნდა და სოფ. ყადგარონში, გარელსა და ბრუთში ხომ ერთგულად მკის ბავშვებსაც და დიდებსაც.

*** კავკავიდგან გვწერენ: კავკავში ამ ჟამად ქუნთრუშა არის გავრცელებული და დიდს ზარალს აძლევს ხალხს.

*** პირველს დეკემბერს, მეორე განყოფილებაში „სტატსკი სოვეტნიკის“ პორფირე ჟუკის სადგომიდან, დილის ათსა და თორმეტს საათს შუა, მოუპარავთ სხვა-და-სხვა ვერცხლის ნივთი სულ ორმოცის მანეთისა. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, მეოთხე განყოფილებაში, უეცრად მოკვდა „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ ივანე იაგორის ძე ამირაგოვი.

*** იმავე დღეს, მეორე გილდიის ვაჭრის სერგო მელვინოვის სახლში „კოლეჟსკი სოვეტნიკის“ ზუტკევიჩის სადგომში ცეცხლი გაჩნდა და ჭერი დაიწვა. ცეცხლი შინაურის საშუალებით გააქრეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გურია. ისე იმედ-დაკარგული და სასო-წარკვეთილი ვიყავი, რომ, სწორედ გითხრათ, არც-კი მეგონა, თუ ოდესმე ვეღირსებოდი ისეთს ბედნიერებას, რომ ერთი მაინც არი სასიამოვნო ამბავი მომეწვდინა მკითხველთათვის. ბოლოს მიბრალა ღმერთმა, და აი დღეს მაქვს შემთხვევა სანუგეშო ამბავი უამბო მკითხველს ჩვენის ცხოვრებიდგან. მე მოგახსენებთ სწავლის სურვილის გაძლიერების თაობაზე ჩვენში. მართალია, ჩვენი გური არასოდეს არ ყოფილა ამ სურვილს მოკლებული და ძალიან იშვიათად უცქერდნენ ამ მადლიანს საქმეს იჭვის თვალით. მაგრამ დღეს, როცა სურვილი გასულხორციელდა და სწავლის მომხრეთა გაიმარჯვეს, ჩემს უიმედო გულში კვლავ დაისადგურა იმედმა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გურიაში სწავლის საქმე და სკოლა ცუდს მდგომარეობაში იყო. თუმცა ჩვენ სკოლებიც გვქონდა და მასწავლებელიც გვყავდა, მაგრამ მოსწავლეები-კი არსად სჩანდა. წელს სულ სხვა გვარ სურათს შევესწარით: ყველა ჩვენს სასოფლო სკოლებში შეგირდების რიცხვმა იმატა და ზოგიერთში ასამდე ადის. ამას გარდა, ვინ იცის კიდევ რამდენი ყმაწვილი გაშორდა სკოლის კარებს ტირილითა და ცრემლით, რადგანაც ადგილი არ იყო. ამ გარემოებამ ჩააფიქრა ჩვენები და შეუდგნენ ცდას ორ-კლასიანის სკოლების გასამართავად. მაგალითად, ბასილეთში დაიწყეს ამ საგანზედ ლაპარაკი. 20 ნოემბრისას მოიყარეს ამ საზოგადოების მკვიდრთა ერთად თავი განზრახულის საქმის გარდასაწყვეტად. ყრილობაზე დაესწრნენ ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორი ბ-ნი ლევიცკი, ჩოხატაურის პოლიციის ბოქაული იაშჩენკო, მახლობელ სკოლების ოსტატები და სხვანი. ყრილობის უმცირესი ნაწილი, თუმცა წინააღმდეგი იყო ამ სასურველი საქმისა, მაგრამ ბ-ნი რამიშვილის სიტყვამ ეს ნაწილიც დაათანხმა. ყველამ მოაწერეს ხელი განაჩენზე და ამ ნაირად დაბოლოვდა ბასილეთის ორ-კლასიანის სკოლის დაარსების საქმე. ბახვის საზოგადოებამაც შეადგინა და წარუდგინა განაჩენი, სადაც ჯერ არს, მესამე მასწავლებლის მოწვევის შესახებ. ამას შემდეგ, რასაკვირველია, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბასილეთის და ბახვის მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ, რომელთაც ხალისთან ერთად ძალ-ღონეც შესწევთ. მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ერთი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება სკოლების საქმის წარმატებას და გაძლიერებას. ჩვენში ზოგიერთი საზოგადოება ისეა დაყოფილი, რომ სკოლის საქმეში სოფლები ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან; მაგალითად, ერკეთის ხუთასი კომლი დღემდის უსკოლოდ არის, რადგანაც მისი ერთი ნაწილი—ციხე—თანახმა არ არის სკოლა გამართოს. ამის მიზეზი ის არის, რომ ერთ თთვეში გამართული სკოლა ციხის მცხოვრებთათვის უსარგებლოა, რადგანაც ციხეს და ერკეთს შუა ძნელად გასავლელი მდ. სუფსაა, ხოლო ციხელები დიდად მოხარულნი იქმნებიან თუ სკოლის საქმეში მათ შეუერთებენ ფარცხმის საზოგადოებას, ვინაიდგან ამ გვარს შემთხვევაში უფრო იოლად წავლენ. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი ადმინისტრაცია ნებას არ აძლევს, არა თუ რომელიმე კუთხე მოსცილდეს თავისს საზოგადოებას და სხვას შეუერთდეს სკოლის საქმეში, არამედ არც იმას ანებებს, რომ რომელიმე კუთხემ საკუთრად იკისროს სკოლის ხარჯი და ცალკე გამართოს სკოლა. ამის მაგალითსაც ქვემო სურებში ვხედავთ: ქვემო სურებლებმა, აგერ მესამე წელიწადია, რაც გამართეს სკოლა, მოიწვიეს მასწავლებელი და სთხოვეს მთავრობას ეს სკოლა აღიაროს ოფიციალურ სკოლად, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ეუბნებიან, უსათუოდ ზემო სურებლებს შეუერთდით და შუა ადგილზე გამართეთ საზიაროდ სკოლაო. შუა ადგილათ სურებში ის არის დასახელებული, სადაც სოფლის კანცელარია დგას. ეს ადგილი ისეთი მიყრუებული და მივიწყებულია, რომ ოთხს ვერსზე არც ზემოდგან და არც ქვემოდგან მოსახლე კაცის ჭაჭანება არ არის, რომ შეგირდები მიაბარონ. მოდით და ასეთს ადგილზე გამართეთ სკოლა, რომელსაც შეგირდები არ ეგულება. ამისთანა სკოლა ვის რად უნდა. ეს გარემოება კარგად შეგნებული აქვთ ქვემო სურებლებს და, რასაკვირველია, საბუთი აქვთ, სთქვან: „ჩვენი ურგები შეჭამადი ძაღლსაო და ქოთანი ქვასაო“. იმედია ჩვენი ადმინისტრაცია ამ საქმეს ყურადღებას ათხოვებს და ამ საქმეში თავისუფლებას მიანიჭებს სოფლებს.

დათიკო ვერმიცანაშვილი

---

გორც მოხისელებს, რომელთაც ხის ზარბაზანი გატენეს წამლით და, მტრების მაგიერ, თავიანთი თავი-კი ამოწყვიტეს.

**

— თუ ასეთი საშიში და საფრთხილო ყოფილა ეს რაღაც დინამიტია, მელინიტია, და სხვა ამ გვარი ასაფეთქებელი წამლებიო, მაშ რაღაზე აკლავენ ზედ თავს, რაშიღა უნდა იყოს განა გამოსაყენებელიო?—იკითხავთ.

გიპასუხებთ: ჯერ ერთი, რომ იყო საშიშარი და აღარ არის. მაგალითად, მელინიტი,—დღეს ისე ჰყავთ დამორჩილებული საფრანგეთში, რომ ყურმოჭრილ ყმასავით ჩაჰსვამენ ყუმბარაში, ჩასდებენ ზარბაზანში და უშიშრად უბრძანებენ: გასწი და გაჟლიტე მტერიო. ესეც მიდისო და, თუ მართლა წინ დაუხვდა ვინმე, აუარებელს ხალხს სწყვეტსო.

მეორე,—რაშია გამოსაყენებელიო? ბევრს რამეში. ხომ გინახავთ, კლდეს რომ აფეთქებენ ხოლმე ნალმით. აქ საფეთქებლად, როგორც გეცოდინებათ, თოფის წამალს ხმარობენ, მაგრამ თოფის წამალზე უფრო ძლიერ და უკეთ დინამიტი და მელინიტი მოქმედობს. გარდა ამისა, იქ, სადაც თოფის წამალი ფუთობით უნდა მოანდომონ, დინამიტისა თუ მელინიტისა საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მისხალი.

ჩემი თქმა საჭირო აღარ არის; ვგონებ, თქვენ თითონ მიჰხვდებით ეხლა, რისთვის ყოფილა გამოსადეგი ეს ასაფეთქებელი წამლები. მიჰხვდებით, რა დიდს სამსახურს გაუწევს ადამიანს გზების გაკეთებაში, როდესაც მთები და კლდეებია გზაში დასანგრევი; მიჰხვდებით,—რა დიდს შემწეობას მისცემს აგრეთვე იმას, ვინც, ვსთქვათ, ქვის მარილსა სჭრის, ან დედამიწაში ღრმად მუშაობს მადნეულობის ამოსაღებად... ან-კი ვინ ჩამოსთვლის, რამდენს საქმეშია გამოსაყენი ასაფეთქებელი წამალი.

თუ აქამდინ სავაგლახო და სავალალო ის იყო, რომ გადატან-გადმოტანა, ხმარება და შენახვაც-კი უძნელდებოდათ,—დღეს ხომ, როგორც ზემოდ მელიტინზე გითხარით, ამასაც ეშველა.

იმაჲ საფრანგეთში, ერთს ქიმიკოსს, სახელად ფავიეს, ისე მოუხერხებია, რომ საფეთქებლი წამლები დღეის იქით საშიშარი აღარ იქმნება შესანახად და სახმარებლად. იმას აღარ ვამბობთ, რომ თავისთავად, ან თუნდაც რომ მოჰხდეს რამე, აღარ იფეთქავს თურმე,—ასე წარმოიდგინეთ, ცეცხლშიც რომ ჩააგდოთ, არ იფეთქავსო. ამ გვარად გაკეთებულ წამლის აფეთქება შეიძლება თურმე მხოლოდ მაშინ, როდესაც განგებ ამისთვის მომზადებულ პატრუქს იხმარებს ადამიანი.

**

ასე; რასაც-კი მეცნიერება ხელს ჩაჰკიდებს, უთუოდ დაიმორჩილებს და ეცდება ადამიანს საკეთილ-დღეოდ მოახმაროს. მართალია, ასაფეთქებელს წამლებს ჯერ უფრო ადამიანის საჟლეტად ამზადებენ, მაგრამ აქ მეცნიერებისა რა ბრალია.

ძველის დროის გამოჩენილმა მეცნიერმა პითაგორმა, სიხარულით, რომ მეცნიერება გაამდიდრე და კაცობრიობას სამსახური გაუწიეო, ღმერთს ჰეკატომბა შესწირა, ე. ი. ასი ხარი დაუკლა. ბისმარკმა საფრანგეთი დაამარცხა, და გახარებული, რომ კაცობრიობას დიდი სიკეთე შევძინე ამითიო, პითაგორის ჰეკატომბას რაღად იკადრებდა. ასი რა სათქმელია! ასი ათასი და თუ შეიძლება მილიონი,—ხარიც ხომ არა,—ადამიანი მოსცითო დასაკლავად,—ღმერთი მხოლოდ ასეთს საწირავს მიიღებს ჩემგანაო!..

რა ჰქმნას აქ მეცნიერებამ?.. მაგრამ ეჰ, სად მეცნიერება, სად ბისმარკი! ბისმარკი წარმავალია და სიკვდილისშვილი, მეცნიერება დაუსრულებელი და უკვდავი. მეცნიერება მარტო დღეისთვის არ ჰზრუნავს, წინაც იყურება და სცდილობს ბოროტიც კეთილად გარდაჰქმნას. აი მაგალითი.

ერთს ინგლისელს მეცნიერს მოუგონია ზარბაზანი, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ახალი წამალი ზარბაზნის გასატენად. ეს ზარბაზანი,—ოჰ, სიტყვისა ნუ შეგეშინდებათ,—ხალხის გასაწყვეტად არ არის მოგონილი.

— მაშ რისთვისაო?—იკითხავთ გაკვირვებული.

რასაკვირველია, ომში სახმარებლად, მხოლოდ აი რა განსხვავებით: ამ ომში ერთი ჯარი ისე დაამარცხებს მეორეს, რომ წვეთი სისხლიც არ დაიღვაროს.

—როგორ იქნება, ეს შეუძლებელიაო!—უფრო მეტად გაიკვირვებს მკითხველი.

გაკვირვებით-კი მართლა რომ გასაკვირველია, ხოლო შეძლებითაც-კი შესაძლებელია. და აი როგორ.

არის ქიმიაში ერთი ნივთიერება, რომელსაც სახელად ნიტრინ-ამილი ჰქვიან. ყველა ქიმიკოსი გეტყვით ამ ნივთიერების თვისებას: ნიტრინ-ამილის სუნი რომ ცხვირში გეცეთ, მაშინვე თავ-ბრუ დაგესხმით, გონება წაგერთმევათ და ნახევარს საათს გრძნობა-მიხდილი, გულ-წასულივით იქმნებით. გაივლის ნახევარი საათი, ცოტა მეტი ან ნაკლები, და ისევ გონებაზე მოხვალთ.

ეხლა ხომ მიჰხვდით, რა წამალი მოუგონია ზემოდ ნათქვამს ინგლისელს. ეს წამალი სწორედ ნიტრინ ამილი გახლავთ. ამ წამლით გაივსება ყუმბარა, ამ ყუმბარით გაიტენება ზარბაზანი და, სადაც ეს გასროლილი ყუმბარა დაეცემა და გასკდება, ნიტრინ-ამილის სუნი მოეფინება და მთელი რაზმი პირქვე დაეცემა,—ხალხი არ დაიხოცება-კი, არა, მხოლოდ რამდენსამე ხანს გრძნობა-მიხდილი იქმნება.

ან აი, ვთქვათ, ჯარით სავსე მტრის გემი გამოჩნდა. გავარდა ზარბაზანი, ორიოდ ლიტრა ნიტრინ-ამილით გავსებული ყუმბარა გასკდა გემის თავ-

## უცხოეთი

საფრანგეთი. 20 ნოემბერს ბულანჟემ ნევერში სიტყვა წარმოსთქვა და სცდილობდა მოეშორებინა თავიდამ ის ბრალი, რომელიც დასდეს რესპუბლიკელებმა. ჩვენაო,—სთქვა გენერალმა,—სრულიადაც არ გვინდა გავიმეოროთ ის, რაც ჩაიდინა ლუდოვიკ-ნაპოლეონმა 2 დეკემბერს. უგუნურება იქმნებოდა მაგის სურვილი ჩვენის მხრითაო. ნაპოლეონი ეღავებოდა პარლამენტს და დიდად დააშავა რომ ამ დავის დროს ერს არ მიჰმართა, იმ ერს, რომელმაც აირჩია იგი. ამის მაგიერ, ნაპოლეონი დიდის უნდობლობით მოექცა ამ ერს და მსხვერპლად მისცა თავის მოხელეობას. ჩვენი სურვილი-კი მხოლოდ ის არის, რომ ერმა შეიძინოს ყველა თავისი უფლებანი და აისრულოს ყველა თავისი სურვილი. იმ რესპუბლიკამ, რომელიც ჩვენ გვინდა, უნდა მისცეს ნება მუშა ხალხს იყოლიოს თავისი წარმომადგენელნი და განიკარგოს თავისი ყოფა-ცხოვრებაო. გაზეთი «Republique Française»-ე სწერს ბულანჟეს სიტყვის გამო: „ახლა ბულანჟე უფრო თამამად ლაპარაკობს, რომ მე ტახტის მაძიებელი ვარო, ვიდრე უწინ ლაპარაკობდა. გენერალმა ამცნო თავის მსმენელთ, რომ მე სწორედ იქიდამ დავიწყებდი, რითაც გაათავა ლუდოვიკ ბონაპარტემაო. ამ გენერალს მხოლოდ ის უნდა, რომ ქვეყანამ აირჩიოს თავის ბედის გამგებლად. რაკი ამირჩევს ერი, მერე მე, როგორც დიდსულოვანი მფლობელი, თავისუფლებას მივანიჭებ ერსაო. მაგრამ ვის მოატყუებს ბულანჟე ამისთანა დაპირებითა? რა უსირცხვილობაა! აი ამას გვიქადაგებენ კიდევ დღეს, თუმცა 37 წელიწადია გასული 2 დეკემბრის შემდეგ, 18 წელიწადია მას უკან, რაც სედანისა და მეცის ამბავი მოხდა! როდის გათავდება ნეტავ ეს შემაძრწუნებული კომედია!“

## წვრილი ამბები

ვენაში იბეჭდება ახალი წიგნი ბოლგარიასა, ბოლგარიის ერის სასიათსა და ქვეყნის მერმისზედ. ამბობენ, რომ ამ წიგნის დამწერი პრინცესა კლემენტინაა, დედა პრინც ფერდინანდ კობურგელისაო.

— განთქმული ინგლისელი ტრაგიკოსი ჰენრის ირვინგი ჰბეჭდავს თურმე შექსპირის თხზულებათა თავისის შენიშვნებითურთ «არტისტებისათვის».

— ავსტრიის საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, პრაგაში აღუკრძალავთ ახლად გამოცემული ჩეხურს ენაზედ წიგნი, შედგენილი იმპერატორ ფრანც-იოსების ორმოცის წლის იუბილეის სახსოვრად, „Nas Cisar Rau“-ი. ეს წიგნი შედგენილია ჩეხიის მასწავლებელთა მიერ, პრაგის სამოსწავლო მთავრობისაგან მოწონებულია ჩეხიის სასწავლებლებში სახმარებლად. ვენაში ის არ მოსწონებიათ, რომ წიგნში ბევრჯელ არის ნახსენები ჩეხების ერი, იმათი ქვეყანა და მათი ისტორიაო. ამ წიგნის აღკრძალვას დიდი ბაასი და აყალმაყალი გამოუწვევია პრაგაში.

— დედოფალს ნატალიას განუზრახავს დაჰბეჭდოს ბუქარესტში ცალკე წიგნად თავისი მიწერ-მოწერა მეფე მილანთან განქორწინების შემდეგ. ეს წიგნი ის არ არის, რომელიც პარიჟში უნდა გამოვიდეს ამავე საგნის შესახებ და რომელიც ჩვენცა გვქონდა მოხსენებული ამას წინად ჩვენს წვრილს ამბავში.

— პარიჟში დაუბეჭდიათ მეორე გამოცემად მეტად საყურადღებო და საინტერესო რომანი ახალგაზდა მწერალის Mrurice Barrés-ი: „Sous l'oeil des barbares“. ეს წიგნი განსაკუთრებით იმითია საყურადღებო, რომ მშვენივრად აწერილია შიგ აზრი, გრძნობა და შეგნება ამ საუკუნის საფრანგეთის ნასწავლ ახალგაზდობისა. ეს ბარესი მეტად ნიჭიერი ყმაწვილი კაცია თურმე და ჯერ არც ერთს ახალგაზდა მწერალს ისე არ აულაპარაკებია პირველშივე საფრანგეთი, როგორც ამან აალაპარაკა. საკმაოა ვსთქვათ, რომ ნიჭიერს მწერალს ბურჟეს, რომელიც ეხლა კრიტიკოსობას იშვიათად ჰკისრულობს და რომელსაც ჩვენი მკითხველები იცნობენ, ამ ბარესის რომანის შესახებ მთელი კრიტიკი დაუწერია „Journal des Débats“-ში და პირდაპირ ამბობს, რომ საფრანგეთის ლიტერატურაში ეს ახალგაზდა მწერალი დიდს სახელს გაითქვამს და ეჭვი არ არის, უფრო იმ ახალგაზდა მწერლებზე ნიჭიერია, რომელნიც-კი ამ უკანასკნელს სამ-ოთხს წელიწადში გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზედაო.

— ბერლინის მთავრობას უკვე აღუკრძალავს არამც თუ ცალკე დაბეჭდვა, არამედ გადაბეჭდვა-კი ჟურნალ „Deutsche Rundschau“-ს იმ ნომრისა, რომელშიაც დაბეჭდილია იმპერატორის ფრიდრიხის წერილები. ეს წერილები ეხლა ცალკე წიგნად დაუბეჭდიათ ნიუიორკს გერმანულადვე და ამ გამოცემისა დიდ-ძალი ეგზემპლიარი თვით გერმანიაშიაც შეუპარებიათ.

— ლონდონში გარდაიცვალა, როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ ჩვენის გაზეთიდგან, გამომცემელი გაზეთის „Daily Telegraph“-ისა. ამ გამომცემელს 20,000,000 მანათი დარჩენია. თავისს ანდერძის წერილში არ გამოუტოვებია არამც თუ მარტო თანამშრომელი მწერლები, არამედ ასოთ-ამწყობნი და ასოთ-ამწყობთა შეგირდებიც-კი. თითო თანამშრომელ-მწერალისათვის 20,000 მან. დაუტოვებია სამკვიდროდ. სიკვდილის წინა დღეს მოხუცებულს გამომცემელს გაზეთისას (ეს კაცი 77 წლისა იყო) დაუბარებია ყველა ისინი, ვისაც ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად, იმისს გაზეთისთვის უმუშავნია, და შრომისათვის მადლობა გადაუხდია.

— მოხუცებული ფელდ-მარშალი მოლტკე წარსულს ხუთშაბათს მისულა ბერლინის ოლქის სასამართლოში და თავმჯდომარესათვის თავისის ხელით გარდაუცია თავისი ანდერძის წერილი. ეს ანდერძის წერილი დიდს პაკეტში ჰდევს და პაკეტს ზემოდგან მოლტკეს სახელი და გვარი აწერია.

## გასართობი

ამას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ერთს დედაკაცს ფული გადაუდვია და იმას აძლევს, ვინც შეადგენს წიგნს, თუ „როგორ უნდა მოაწონოს ქმარმა ცოლს თავიო“. აუსრულდა თუ არა ამ დედაკაცს სურვილი, არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ ვიღაც ბ-ნს ჩინსკის გარშავში დაუწერია წიგნი, რომელსაც სათაურად აქვს „ხელოვნება, თუ როგორ უნდა მოაწონოს ცოლმა ქმარს თავი“. ამის შესახებვე ამერიკის გაზეთებში მოყვანილია შემდეგი ათი მცნება, ვითომ-და სავალდებულო ქმრიანის ქალისათვის:

1) ერიდე პირველს შფოთსა და მოურიგებლობას, ხოლო თუ მაინც ასტყდა, მხნედ დააბოლოვე და ეცადე გაიმარჯვო, რადგან ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის;

2) გახსოვდეს, რომ ადამიანიშვილი გყავს ქმრად და არა ღმერთი და ამიტომ ნუ გაგიოცდება, თუ შენს ქმარს ნაკლი შეამჩნიე რამე;

3) ხშირად ნუ სთხოვ ფულს და ეცადე ბოლო თავს ისე მოაბა, რომ მის მიერ გადაწყვეტილი და გადადებული სახარჯო ფული მოიხარჯიანო;

4) თუ შენი ქმარი სრულიად უგულო და უგრძნობელი აღმოჩნდა, სტომაქი მაინც ექმნება და ეცადე, რომ ამ სტომაქის გუნება მოინადირო კარგად გაკეთებულის საჭმელებით;

5) ათასში ერთხელ ქმრის სიტყვას ნუ აუხირდები. ამითი ანუგეშებ და არც შენ იგნებ რასმე;

6) მიცვალებულთა განცხადებათა გარდა წაიკითხე ხოლმე აგრეთვე დანარჩენიც, რაც-კი გაზეთშია; მიაქციე იმასაც ყურადღება, რაც საზღვარ-გარეთ ამბებია. ამითი გააკვირვებ ქმარს და შეძლებას მისცემ, რომ პოლიტიკაზე და სხვა საგნებზე შინ ილაყბოს, კლუბში წაუსვლელად;

7) ყოველთვის თავაზიანი იყავ ქმართან, კამათობის დროსაც-კი. გახსოვდეს, რა პატივის-ცემით შესცქეროდი, როცა შენი, ქმარი-კი არა, საქმრო იყო. ეხლა ეცადე, რომ ზიზღითა და ძულებით არ მოეკიდო;

8) დრო-გამოშვებით ქმარს ნება მიეცი მართალი გამოვიდეს კამათობიდგან; ეს იმას თვით მგრძნობელობას გაუუკეთესებს და შენთვისაც სახეირო იქნება აღიარო, რომ ხანდისხან შენცა სტყუი ხოლმე.

9) თუ შენი ქმარი ჭკვიანი კაცია, მეგობარი გაუხდი; თუ არა-და, ეცადე მეგობარი გაიხადე, აღამაღლე იგი შენამდე, ხოლო შენ ნუ დაიმცრობი იმისამდე;

10) პატივის-ცემით მოეკიდე შენის ქმრის ნათესაობას, განსაკუთრებით იმისს მშობელს დედას, რომელსაც შენი ქმარი ჯერ კიდევ მაშინ უყვარდა, როცა შენ არც-კი იცნობდი.

## დეპეშა

1 დეკემბერი

კალკუტა. (დეპეშა რეიტერის სააგენტოსი) დღეს მოვიდა აგრას დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის-ძე თავის ამალი-თურთ.

პარიჟი. გენერალმა ბულანჟემ უკან წაიღო თავისი თხოვნა განქორწინების შესახებ, რადგან შესაძლებელი აღმოჩნდა განუქორწინებლად დაკმაყოფილებულ იქმნას.

სოფია. მცოდნეთა შორის ეჭვი აქვთ, რომ ახალის სამხედრო წესის შემოღება სახეირო იყოს. ამ წესის შემოღებას საგნად იმოდენად ჯართა მომატება არა აქვს, რამდენადაც უმაღლეს თანამდებ პირთა დაწესება. ამითი მთავრობას იმედი აქვს თავის მომხრენი გაამრავლოს.

ამ ბოლოს დროს სასახლეში ძრიელ ფრთხილობენ პრინც კობურგელის უვნებლობის დასაცველად.

### პეტერბურგის ბირჟა, 29 ნოემბ.

| | მიჰყიდეს. | გამყიდველ. ჰქონდათ. | მყიდველ. ჰქონდათ. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . | — „ | — „ | 7 85 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 157½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 242 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

რუსეთს ერთი-ხუთად მეტს სესხს აძლევენ მარტო საფრანგეთში, ვიდრე თვით რუსეთს უნდა საჭირო სასესხებელი აღლოს.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუჲწ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
დეკემბერი 31 დღით არის.
3 დღე შაბათი. წინ-მეტყ. სოფონიასი. კათოლ. ფრანცისკასი. სომეხ. წმ.

---

ზე,—და უცბად მთელი ჯარი გაჩუმდა, უძრავად არის, თითქოს რაღაცა მანქანების ძალით ეს ამოდენა ხალხი ქვათ იქცაო. რაღაა საჭირო? არაფერი,—რამდენიმე კაცი საკმაოა, რომ მთელ გემის ჯარს იარაღი აჰხნან და ტყვედ წაიყვანონ.

ხოლო ამასაც-კი ნუ დაივიწყებთ, რომ ორსავე მეომარს მხარეს თანასწორი იარაღი ექმნება, და შესაძლებელია, ერთმაც და მეორემაც სწორედ ერთსა და იმავე დროს იხმარონ ნიტრინ-ამილი, ასე რომ მტერიც და მოპირის-პირეც უვნებლად და უძრავად დარჩებიან.

მით უკეთესი: მეომარი აღარავინ იქმნება და, მაშასადამე, ომიც თავისთავად მოისპობა.

იქმნება მაშინ მაინც კაცთ-მძულვარებამ ადგილი დაუთმოს კაცთ-მოყვარეობას, რომელსაც ეხლა ტყუილ-უბრალოდ ჰქადაგობენ; ვამბობთ ტყუილ-უბრალოდაო იმიტომ, რომ მთქმელს გამგონი არავინა ჰყავს.

**

ეს ბედნიერი დრო, ვინ იცის, კიდევ როდის იქმნება და აი იმას-კი, რასაც ედისონი გვპირდება, ვგონებ, მალე მოვესწრობით. ამას ესე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობთ, რომ ედისონი წინათაც თავის სიტყვას არ გადასულა და თავის დანაპირი შეუსრულებია, თუმცა ეს დანაპირი ხშირად ძნელად დასაჯერი ამბავი ყოფილა. გეხსომებათ, მაგალითად, ფონოგრამი. როგორ გააკვირვა მთელი ქვეყანა ედისონმა, როდესაც პირველად თქვა, რომ თხელ ფირფიტაზე შეიძლება აღიბეჭდოს ადამიანის ნათქვამი სიმღერა, კილო იმის ლაპარაკისა, მუსიკა, და ყველა ეს, ფირფიტაზე დაბეჭდილი, არამც თუ შორს გაიგზავნოს, არამედ საშვილიშვილოდაც გადაიცეს ხმის, კილოს უცვლელადაო. დღეს ეს კიდეც შეასრულა ედისონმა და ერთი ფონოგრამი, როგორც გაზეთებმა გვაუწყეს, გლადსტონისათვისაც გამოუგზავნია...

ამიტომ ვსთქვი, რომ ედისონს დევჯერება და შეასრულებს, რასაც დაგვპირდება-მეთქი. დღეს რაღას გვპირდება?

გაგეგონებათ, შესქელებული წვენი რისმე, გენახვებათ გასქელებული, შედედებული რძე და გასქელებული, შედედებული ჰაერი-კი, დარწმუნებული ვარ, არც ნახვით გენახვებათ, არც გაგონით გაგეგონებათ. ჰაერი, ხომ მოგეხსენებათ, გარს გვარტყია, ყოველს წამს ვყლაპავთ, უჰაეროდ ერთს წამს ვერ გავძლებდით, და შეჰხედეთ-კი, როგორ თვალთ უნახავია. ჰაერს, კარგად იცით, ვერც თვალს მოჰკრავთ, ვერც ხელში დაიჭერთ, ვერც ჯიბეში ჩაიდებთ. რა კარგი იქმნებოდა-კი, რომ ადამიანს ჰაერის ხელში, და უფრო უკეთესი, ჯიბეში ჩაგდება შეეძლოს! ოჰ, მაშინ ხომ დღევანდელიდით აღარ დაიწანებდა სოფლიდამ წამოსვლას! მაშინ სოფლის სუფთა, ჯანის გამამაგრებელ, სიცოცხლის მომცემ ჰაერს თან წამოიღებდა, და ქალაქის აშმორებულს ჰაერს ძლიერ აღარ შეუშინდებოდა...

განა რომ კარგი იქმნებოდა, ეს რომ შესაძლებელი იყოს? წარმოიდგინეთ, რომ შესაძლებელი ყოფილა, და აი ედისონიც სწორედ ამას გვპირდება. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ გათხელებულ, გაფანტულ, უხილავ ჰაერის შეკუმშვა, შესქელება, შედედება შესაძლებელი გახდეს.

ედისონი კარგა ხანია თურმე, რაც შესდგომია ამ საქმეს და, როგორც ამბობენ, იმედიცა აქვს, რომ მალე საქმეს საქმეზე მოიყვანოს. ედისონი ასე აპირებს თურმე საქმის მოგვარებას: ჰაერს შეჰკუმშავს, ძლიერ გაასქელებს, და ამ შეკუმშულ, გასქელებულ ჰაერს თხილის გულის ოდენა ბადეს გაუკეთებს და შიგ შეახვევს. ესრედ გაკეთებული და შეხვეული ჰაერი, რასაკვირველია, შეგიძლიანთ ჯიბეშიაც ატაროთ. ყოველგვარი ჰაერი შეიძლება ასე მომზადდეს, ასე რომ ჯიბეში შეგიძლიანთ ატაროთ, მაგალითად, მთისა ან ტყის გრილი ჰაერი, ზღვის ნოტიო ჰაერი, ან კიდევ ცხელი ჰაერი ქვემო ქვეყნებისა.

და აი წარმოიდგინეთ, რომ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ქალაქში ხართ, სიცხე სულს გიგუბებთ,—ამოიღებთ ჯიბიდამ თქვენ ნატვრის თვალს ე. ი. შეკრულ-გახვეულს ჰაერს, და იტყვით, ნეტავი ეხლა მთის ჰაერი ჩამაყლაპა და გამაგრილაო, იტყვით და მოისვამთ თქვენს ნატვრის თვალს,—აჰა, საკვირველებავ!—უცბად გრილმა, საამურმა ნიავმა დაგბერათ და შუბლი და გული გაგიგრილათ.

ან კიდევ ავადა ხართ. ჰაერის გამოცვლაა საჭირო. გირჩევენ სოფლად ან ზღვის პირად ცხოვრებას. თქვენ ფეხსაც არა ჰსძრავთ, აფთიაქში ჰგზავნით მხოლოდ და, როგორი ჰაერიც გინდათ, მოგაქვთ...

უსაგნო ოცნებად არ ჩასთვალოთ ზემოთ ნაამბობი. გასქელებული, შეკუმშული „სურნელება“ (духи) დღეს არც შორია და არც ჭორი. ასე წარმოიდგინეთ, რომ თვით ჩვენ ქალაქშიაც კი შეგიძლიანთ ასეთის „სურნელების“ ყიდვა. ეს სურნელება კარანდაშივით არის გაკეთებული და კოხტა ტარებშია ჩასმული. პარიჟში დიდკაცის და მდიდარის ქალების მარაოს ტარებზე აქვთ ეს კარანდაშები გაკეთებული. საკმარისია, ოდნავ ხელი დააჭიროთ კარანდაშის თავს, რომ გარშემო საამური სურნელება მოიფინოს.

ხომ გჯერათ, რომ შეკუმშული, შესქელებული „სურნელება“ დღეს ნამდვილი ამბავია. და სურნელებაც ხომ იმავე გვარის და შთამომავლობისაა, რაც ჰაერი. მაშასადამე ჰაერის შეკუმშვა, გასქელება, რასაც ედისონი გვპირდება, ყოვლად შესაძლისი ამბავი ყოფილა. იმედი ვიქონიოთ!..

დონ-იაგო.

მოც. და სომეხთა პირველ განმანათლებელ თადეოზისა და ბართლომეისა. მაჰმად. მე-12 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 4—31. მთვარე 13 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი
#### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . $3\frac{1}{2}$ »
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ $3\frac{1}{2}$ „
ჯვარის მამის პურის ლავაში „
1-ლის ხარისხისა . . 5
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . . 14
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . 8 „
„ 2 „ 7 „

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზითე ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადასწყვეტილს ვადაზე გემები.

### მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

# განცხადებანი


სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

## თეატრი

1889 წელს გამოვა ყოველ კვირა.

რედაქციამ მიიღო ყოველი ღონისძიება, რომ გაზეთი უკეთესად ემსახურებოდეს თავისს საქმეს და გამოდიოდეს ყოველთვის თავისს დროზედ. ხელის-მოწერა მიიღება გაზეთის რედაქციაში, ბანკის ქარვასლაში. წლიური ფასი არის 5 მ., ნახევარ-წლიური—3 მ. და თითო ეგზემპლიარი ჰღირს 15 კ.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთათვის გაზეთის დასაბარებელი ადრესი შემდეგია: Тифлисъ. Редакція газеты „Театръ“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნებიერიძე (3—2)

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

## მამული ვორონოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—17)

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

## მამიდა ასმათი

მოთხრობა

ა. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . მან. კაპ. ,, 40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . ,, 15
ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა . . . . . . . . » 40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . 1 50
II ნაწ. . . . . . 1 50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . „ 15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . „ 40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . ,, 30
მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . . „ 25
გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა . . . . . „ 25
საიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . . 1 „
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. ,, 40
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . „ 15
გულივერის მოგზაურობა . „ 50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . ,, 20
ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . ,, 50
მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა . . . „ 5
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . ,, 50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . 3 „
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . „ 35
ვაზის ძირი. . . . . . . „ 10
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . „ 30
ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . „ 30

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 » . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 » . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 » . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 » . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 » . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ. თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შესვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 2-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე